www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

წყალმომმარაგებელი საწარმოების გამოკვლევა

2023 წელი

27.06.2024
www.geostat.ge

27.06.2024

წყალმომმარაგებელი საწარმოების გამოკვლევა

(2023 წელი)

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2023 წელს საქართველოში წყალმომარაგებით საქმიანობას ახორციელებდა 29 საწარმო, რომელთა მიერ შინამეურნეობებისთვის მიწოდებული წყლის მოცულობამ 231.5 მილიონი კუბური მეტრი შეადგინა, რაც 11.3%-ით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე (208.0 მილიონი კუბური მეტრი). 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებული იყო 2.75 მილიონი ადამიანი (მთლიანი მოსახლეობის 74.5%), რაც 3.0 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (2.67 მილიონი ადამიანი).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებული მოსახლეობის წილი 2015-2023 წლებში (დიაგრამა №1).

დიაგრამა №1

წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებული მოსახლეობა

(%)



27.06.2024

2023 წელს წყალარინების (კანალიზაციის) ქსელზე მიერთებული მოსახლეობის რიცხოვნობამ 1.98 მილიონი შეადგინა (მთლიანი მოსახლეობის 53.7%), რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (1.96 მილიონი) აღემატება 1.0%-ით.

2023 წელს ჩამდინარე წყლის გამწმენდ ნაგებობაზე მიერთებული მოსახლეობის რიცხოვნობამ შეადგინა 1.52 მილიონი (მთლიანი მოსახლეობის 41.2%), რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (1.49 მილიონი) აღემატება 2.0%-ით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია წყალარინების ქსელზე მიერთებული მოსახლეობის წილი (დიაგრამა №2) და ჩამდინარე წყლის გამწმენდ ნაგებობაზე მიერთებული მოსახლეობის წილი (დიაგრამა №3) 2015-2023 წლებში.

დიაგრამა №2

წყალარინების ქსელზე მიერთებული მოსახლეობა

(%)



27.06.2024

დიაგრამა №3

ჩამდინარე წყლის გამწმენდ ნაგებობაზე მიერთებული მოსახლეობა

(%)



საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (500), E-mail: gsanadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge